საქართველოს კანონი

„კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი N1720-Iს 1998წ. 9 დეკემბერი) შეტანილ იქნას ცვლილება და მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 8. კოლხეთის ეროვნული პარკის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები

1. კოლხეთის ეროვნული პარკის საერთო ფართობია - 45,087.1 ჰექტარი, მათ შორის, ხმელეთის – 29,255.1 ჰექტარი, ხოლო ზღვის აკვატორიის – 15,832 ჰექტარი.

2. კოლხეთის ეროვნული პარკის ზღვის აკვატორია მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	704529.8	4693509	7	714114.6	4685594	13	715961.3	4684345	19	716965.7	4676726
2	713382.7	4693252	8	710183	4685780	14	716035.3	4683994	20	717209.6	4675342
3	714469.4	4690468	9	707445.3	4685230	15	716250.4	4683880	21	713201.9	4674796
4	715101.3	4688593	10	707544.5	4684761	16	716572.6	4684010	22	712968.1	4676155
5	716076	4685712	11	710260.1	4685407	17	717103.5	4683755	23	707063.5	4675311
6	716348.5	4684437	12	714044.3	4685395	18	717229.5	4683683	24	708510.7	4680982

3. კოლხეთის ეროვნული პარკის სახმელეთო საზღვარი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	727076	4657389	188	718840	4689343	372	737573	4673910	556	719324	4676810
2	726855	4657727	189	719230	4689231	373	737755	4673806	557	719406	4676419
3	726635	4658065	190	719343	4689156	374	738176	4673776	558	726010	4676927
4	726429	4658410	191	719354	4688642	375	738522	4674003	559	726347	4677108
5	726228	4658757	192	719228	4688604	376	738816	4674294	560	722511	4675079
6	726338	4658806	193	719062	4688665	377	739167	4674526	561	720672	4682558
7	726324	4658833	194	719065	4688616	378	739535	4674711	562	720340	4682503
8	726261	4658807	195	719112	4688603	379	739944	4674794	563	720506	4682550
9	726220	4658939	196	719252	4688493	380	739959	4674698	564	721045	4682574

10	726168	4658896	197	719266	4688433	381	740055	4674695	565	715365	4690642
11	726076	4659172	198	719539	4688431	382	740126	4674427	566	715246	4691009
12	725959	4659409	199	719845	4688493	383	740359	4674417	567	715117	4691372
13	725813	4659799	200	720138	4688332	384	740646	4674456	568	714974	4691748
14	725771	4660044	201	720422	4688327	385	740852	4674388	569	721767	4684889
15	725807	4660111	202	720695	4688465	386	740827	4674149	570	721397	4684801
16	725783	4660296	203	721139	4688226	387	740880	4674092	571	728390	4677713
17	725699	4660533	204	721442	4688090	388	741302	4674238	572	739299	4667701
18	725543	4660759	205	722049	4687822	389	741423	4674436	573	738971	4667475
19	725402	4660949	206	721905	4687377	390	741434	4674402	574	743644	4675157
20	725176	4661317	207	722350	4687403	391	741645	4674348	575	743653	4675156
21	725396	4661414	208	722718	4687170	392	741922	4674371	576	743652	4675149
22	725709	4661558	209	723154	4687098	393	742198	4674394	577	743643	4675150
23	726071	4661757	210	723594	4687243	394	742636	4674397	578	743598	4675143
24	726366	4661871	211	723921	4687154	395	743314	4675306	579	743594	4675144
25	726816	4661978	212	724245	4687050	396	743652	4675510	580	743595	4675148
26	727261	4662106	213	724624	4686812	397	743597	4675230	581	743599	4675147
27	727707	4662229	214	724817	4686496	398	743808	4675146	582	743557	4674957
28	727811	4661806	215	724845	4686103	399	744016	4675176	583	743561	4674955
29	727686	4661601	216	724816	4685652	400	744244	4675315	584	743560	4674951
30	728045	4661314	217	724716	4685226	401	744405	4675360	585	743556	4674952
31	727856	4661269	218	724368	4685193	402	744690	4675199	586	738644	4667247
32	728137	4660966	219	724020	4685159	403	744980	4675049	587	738317	4667020
33	727980	4660921	220	723778	4685268	404	745409	4675104	588	734406	4663766
34	727906	4660721	221	723650	4685123	405	745832	4675201	589	731676	4663259
35	727945	4660708	222	723271	4685087	406	745944	4675019	590	731312	4663169
36	727932	4660460	223	722893	4685050	407	746170	4674964	591	730942	4663110
37	727792	4660471	224	722514	4685014	408	746176	4674934	592	747028	4670350
38	727471	4660152	225	722139	4684964	409	746614	4674846	593	734341	4675807
39	727520	4660059	226	721037	4684680	410	747058	4674717	594	752340	4674423
40	727509	4659904	227	720676	4684560	411	747499	4674662	595	727772	4670828
41	727348	4659609	228	720491	4684551	412	747787	4674510	596	728061	4670885
42	727293	4659286	229	720175	4684418	413	747891	4674288	597	729856	4671421
43	727258	4659283	230	719859	4684285	414	747825	4673882	598	743076	4674922
44	727266	4659029	231	719536	4684168	415	748169	4673792	599	743231	4675094
45	727327	4658655	232	719212	4684056	416	748505	4673699	600	743569	4671194
46	727512	4658627	233	718734	4684101	417	748877	4673415	601	749736	4670948
47	727584	4658309	234	718256	4684145	418	748949	4673286	602	750519	4671966
48	727495	4658297	235	717799	4684274	419	749405	4673249	603	751116	4672262
49	727516	4657988	236	727706	4662281	420	749842	4673190	604	719348	4688899

50	727419	4657863	237	727601	4662857	421	750285	4673059	605	751655	4673226
51	727459	4657444	238	727147	4662908	422	750675	4673330	606	740795	4669226
52	719788	4675460	239	727026	4662896	423	750856	4673335	607	718866	4682935
53	719638	4675744	240	726892	4663154	424	750854	4673289	608	721877	4687521
54	719489	4676029	241	726841	4663309	425	750908	4673284	609	721751	4687966
55	719241	4677200	242	726739	4663486	426	750914	4673297	610	720956	4688508
56	719160	4677591	243	726649	4663691	427	751226	4673350	611	726091	4670205
57	719077	4677981	244	726605	4663774	428	751504	4673418	612	730058	4674147
58	718970	4678365	245	726448	4663864	429	751879	4673453	613	721640	4675373
59	718856	4678748	246	726338	4663976	430	751870	4673364	614	727876	4661873
60	718750	4679131	247	726276	4663885	431	751443	4673085	615	727867	4661460
61	718632	4679512	248	726011	4663772	432	751414	4673086	616	727638	4660303
62	718524	4679896	249	725863	4663905	433	751369	4672724	617	727267	4657417
63	718524	4680311	250	725585	4664040	434	751324	4672363	618	727996	4661118
64	718505	4680725	251	725378	4664223	435	750908	4672160	619	727154	4662748
65	718497	4680905	252	725303	4664495	436	750895	4672186	620	743573	4674791
66	718486	4681122	253	725033	4664590	437	750837	4672169	621	743582	4674789
67	718463	4681601	254	724632	4664655	438	750854	4672134	622	743580	4674782
68	718440	4682080	255	724564	4664543	439	750184	4671799	623	743571	4674784
69	718417	4682559	256	724494	4664531	440	749851	4671628	624	743520	4674764
70	718394	4683038	257	724482	4664482	441	749520	4671451	625	743516	4674765
71	718380	4683331	258	724122	4664442	442	749519	4671328	626	743515	4674761
72	718538	4683293	259	723989	4664775	443	749769	4671310	627	743519	4674760
73	718726	4683179	260	723783	4665146	444	749633	4671188	628	743479	4674574
74	718765	4683194	261	723622	4665580	445	749840	4670707	629	743484	4674573
75	718893	4683183	262	723504	4666027	446	749836	4670677	630	743483	4674568
76	719188	4682915	263	723439	4666485	447	749563	4670565	631	743478	4674569
77	719471	4682776	264	723444	4666701	448	749572	4670468	632	743506	4674424
78	719666	4682793	265	723260	4667024	449	749388	4670457	633	743515	4674422
79	719901	4682533	266	723196	4667467	450	748959	4670327	634	743514	4674415
80	720180	4682507	267	723093	4667890	451	748536	4670182	635	743505	4674417
81	721419	4682591	268	722898	4668103	452	748135	4669984	636	743438	4674386
82	721793	4682607	269	722791	4668319	453	747744	4669765	637	743443	4674385
83	722166	4682624	270	722628	4668596	454	747574	4670040	638	743437	4674382
84	722241	4682205	271	722484	4668786	455	747405	4670314	639	743442	4674381
85	722528	4681899	272	722484	4668863	456	746651	4670386	640	743400	4674192
86	722884	4681669	273	722681	4668893	457	746274	4670421	641	743404	4674191
87	723083	4681526	274	723055	4669013	458	745897	4670457	642	743399	4674187
88	723564	4681460	275	723414	4669084	459	745521	4670493	643	743403	4674186
89	723563	4681440	276	723466	4668981	460	745144	4670528	644	743433	4674054

90	723960	4681385	277	723712	4669007	461	744767	4670564	645	743442	4674052
91	724358	4681330	278	724177	4668954	462	744390	4670600	646	743431	4674047
92	724756	4681281	279	724522	4668941	463	744253	4670856	647	743440	4674045
93	725153	4681227	280	724804	4668958	464	744051	4671021	648	743363	4673998
94	725551	4681173	281	725158	4669026	465	743851	4671187	649	743368	4673997
95	725948	4681116	282	725347	4669147	466	743770	4671080	650	743363	4673994
96	726344	4681055	283	725638	4669160	467	743367	4671307	651	743367	4673993
97	726742	4681000	284	725930	4669173	468	743383	4671415	652	743322	4673803
98	727139	4680945	285	725928	4669520	469	743341	4671471	653	743330	4673801
99	728331	4680779	286	726012	4669860	470	742923	4671580	654	743321	4673795
100	728638	4680692	287	726168	4670550	471	742819	4671465	655	743329	4673793
101	728626	4680652	288	726420	4670564	472	742646	4671125	656	743365	4673699
102	728826	4680361	289	726447	4670683	473	742807	4670799	657	743374	4673697
103	728994	4680093	290	726708	4670645	474	742759	4670758	658	743363	4673692
104	729047	4679866	291	726733	4670817	475	742267	4670799	659	743372	4673690
105	728959	4679694	292	727135	4670817	476	741776	4670841	660	743282	4673612
106	729031	4679505	293	727537	4670818	477	741284	4670883	661	743294	4673609
107	728878	4679187	294	727911	4670891	478	741251	4670822	662	743280	4673600
108	728911	4678701	295	728314	4670963	479	741650	4670784	663	743291	4673597
109	729251	4678560	296	728701	4671075	480	742048	4670747	664	743243	4673421
110	729297	4678309	297	729086	4671189	481	742446	4670709	665	743247	4673420
111	729105	4678258	298	729471	4671306	482	742844	4670672	666	743242	4673416
112	729146	4678102	299	730241	4671539	483	742853	4670547	667	743246	4673415
113	728947	4678039	300	730372	4671488	484	742584	4670378	668	743292	4673332
114	728726	4678041	301	730275	4671858	485	742132	4670218	669	743301	4673330
115	728760	4677837	302	730066	4672079	486	741892	4670195	670	743290	4673325
116	728021	4677589	303	729890	4672378	487	741629	4670169	671	743299	4673323
117	727651	4677465	304	729913	4672737	488	741502	4669816	672	743203	4673227
118	727281	4677341	305	729907	4673096	489	741344	4669477	673	743207	4673226
119	726911	4677217	306	730108	4673379	490	741067	4669227	674	743202	4673223
120	726680	4677297	307	730283	4673676	491	741040	4669293	675	743206	4673222
121	725673	4676746	308	730236	4673945	492	740549	4669159	676	743165	4673034
122	725336	4676566	309	730179	4674261	493	740506	4669104	677	743169	4673033
123	724997	4676389	310	729738	4674145	494	740329	4669079	678	743164	4673030
124	724657	4676212	311	729664	4674600	495	740316	4669107	679	743168	4673029
125	724318	4676036	312	729397	4674817	496	740219	4669092	680	743214	4672964
126	723970	4675878	313	729300	4674954	497	740226	4669054	681	743223	4672963
127	723616	4675734	314	729321	4675068	498	740079	4668933	682	743212	4672957
128	723261	4675591	315	729405	4675086	499	739900	4668896	683	743222	4672956
129	723430	4675200	316	729521	4675500	500	739697	4668576	684	743126	4672832

130	723029	4674912	317	729654	4675905	501	739409	4668560	685	743130	4672831
131	722806	4674900	318	729928	4676161	502	739357	4668874	686	743125	4672827
132	722206	4675242	319	730247	4676359	503	738915	4669039	687	743130	4672826
133	721890	4675379	320	730619	4676394	504	738789	4669022	688	743147	4672588
134	721391	4675362	321	730884	4676390	505	738769	4668884	689	743156	4672586
135	721216	4675400	322	730888	4676372	506	739036	4668819	690	743145	4672581
136	721189	4675494	323	731048	4676352	507	739272	4668701	691	743154	4672579
137	720702	4675523	324	731047	4676321	508	739264	4668623	692	743088	4672636
138	720226	4675524	325	731187	4676276	509	739222	4668569	693	743093	4672635
139	717348	4684411	326	731166	4676202	510	739308	4668396	694	743092	4672631
140	717227	4684774	327	731372	4676126	511	739368	4668414	695	743088	4672632
141	717136	4685148	328	731518	4676004	512	739442	4668111	696	743048	4672436
142	717044	4685522	329	731688	4676031	513	739396	4668090	697	743053	4672435
143	716953	4685897	330	731746	4675997	514	739439	4668007	698	743047	4672432
144	716861	4686271	331	731851	4676020	515	739478	4668016	699	743052	4672431
145	716769	4686645	332	731970	4675968	516	739512	4667963	700	743066	4672195
146	716661	4687015	333	731993	4675985	517	739625	4667930	701	743075	4672193
147	716527	4687376	334	732288	4675714	518	737987	4666796	702	743065	4672188
148	716386	4687735	335	732591	4675453	519	737657	4666572	703	743074	4672186
149	716245	4688094	336	732948	4675283	520	737328	4666348	704	743008	4672239
150	716104	4688452	337	733349	4675250	521	736998	4666125	705	743012	4672238
151	715963	4688811	338	733748	4675283	522	736669	4665901	706	743011	4672233
152	715827	4689172	339	734082	4675501	523	736339	4665677	707	743007	4672234
153	715755	4689384	340	734541	4676156	524	736010	4665453	708	742965	4672045
154	715618	4689822	341	734817	4675975	525	735677	4665233	709	742969	4672044
155	715479	4690274	342	735111	4676286	526	735362	4665014	710	742964	4672040
156	714833	4692088	343	735167	4676285	527	735325	4664651	711	742968	4672039
157	715034	4692152	344	735420	4676490	528	735031	4664469	712	742991	4671843
158	714945	4692435	345	735724	4676595	529	734856	4664154	713	743000	4671841
159	714699	4693254	346	735681	4676556	530	734605	4663873	714	742999	4671834
160	714267	4693315	347	735855	4676550	531	734250	4663827	715	742990	4671836
161	714201	4693456	348	735845	4676487	532	733883	4663915	716	742930	4671843
162	714610	4693474	349	735772	4676470	533	733507	4663794	717	742926	4671844
163	714908	4693435	350	735773	4676456	534	733147	4663623	718	742925	4671840
164	714919	4693487	351	736071	4676375	535	732788	4663452	719	742929	4671839
165	715355	4693390	352	736004	4676271	536	732417	4663389	720	742884	4671636
166	715798	4693341	353	736014	4676125	537	732046	4663327	721	742888	4671636
167	715676	4693000	354	736143	4676100	538	730573	4663044	722	742883	4671632
168	715628	4692548	355	736171	4675783	539	730212	4662941	723	742887	4671631
169	715931	4692286	356	736068	4675380	540	729846	4662849	724	736418	4667811

170	716252	4692248	357	736092	4675170	541	729485	4662746	725	716971	4676726
171	716411	4691865	358	736379	4675163	542	729118	4662659	726	717250	4676798
172	716587	4691962	359	736671	4675144	543	728754	4662563	727	717956	4676282
173	716855	4691624	360	736671	4675114	541	729485	4662746	728	718634	4676126
174	716953	4691160	361	736780	4675046	542	729118	4662659	729	719168	4675538
175	716809	4691011	362	736699	4675002	543	728754	4662563	730	719826	4675349
176	716790	4690679	360	736671	4675114	544	728390	4662466	731	721090	4675254
177	716918	4690552	361	736780	4675046	545	728026	4662370	732	722004	4675208
178	717154	4690545	362	736699	4675002	546	714885	4692862	733	722901	4674790
179	717003	4690156	363	736699	4674970	547	740900	4674157	734	723027	4674690
180	716959	4690001	364	736806	4674933	548	726268	4670529	735	722822	4674436
181	717298	4689885	365	736881	4674873	549	726282	4670594	736	722587	4674604
182	717356	4689630	366	737021	4674699	550	742852	4674876	737	722573	4674587
183	717680	4689753	367	737178	4674567	551	742611	4674462	738	722338	4674777
184	717962	4689825	368	737269	4674368	552	742738	4674598	739	721936	4675008
185	718234	4689534	369	737227	4674334	553	737943	4673760	740	721118	4675095
186	718305	4689489	370	737385	4674145	554	727537	4680890	741	720571	4675077
187	718588	4689492	371	737630	4674068	555	727934	4680835	742	719911	4675169
									743	719879	4675168
									744	719875	4675181
									745	719617	4675163
									746	719268	4675164
									747	718815	4675254
									748	718458	4675541
									749	717987	4675704
									750	717070	4676257
									751	717300	4675353
									752	717210	4675342

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს ----------

საქართველოს პრეზიდენტი

განმარტებითი ბარათი

„კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოში გავრცელებულია ზუთხისებრთა ექვსი სახეობა: სვია *(Huso huso)*, რუსული ზუთხი *(Acipenser gueldenstaedtii)*, ტარაღანა *(Acipenser stellatus)*, ჯარღალა *(Acipenser nudiventris)*, ევროპული (ატლანტური) ზუთხი ანუ ფორონჯი *(Acipenser sturio)* და კოლხური ზუთხი *(Acipenser persicus colchicus)*[1]. საქართველოში გავრცელებული ზუთხისებრთა ექვსივე სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. მათგან ფორონჯი *(A. sturio)* შეტანილია გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი (CR) სტატუსით, ხოლო დანარჩენი ხუთი სახეობა - გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN) სტატუსით. ზუთხისებრთა სახეობებს გადაშენების საფრთხე ემუქრებათ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელი ნუსხის მიხედვით, საქართველოში გავრცელებული ზუთხისებრთა ყველა სახეობა გლობალურად გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე იმყოფება. შესაბამისად, ზუთხისებრნი წარმოადგენენ ყველაზე მოწყვლად და საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების ჯგუფს საქართველოში.

ზუთხისებრთა რიცხოვნობა კრიტიკულად შემცირებულია, რომლის ძირითადი მიზეზებია წყალსაცავებისა და კაშხლების მშენებლობის გამო მდინარეთა რეგულირება, ჰაბიტატების ფრაგმენტაცია და სატოფო (საქვირითე) ადგილების განადგურება, ბრაკონიერობა და ახალმოზარდეული ინდივიდების თანჭერა.

მსოფლიოში ზუთხისებრთა სახეობების გასამრავლებლად საჭირო ბუნებრივი სატოფო ადგილები საკმაოდ შეზღუდულია. მდ. რიონი ერთ-ერთია მსოფლიოს იმ რამდენიმე მდინარიდან, სადაც შემორჩენილია ზუთხისებრთა სატოფო ადგილები და, შესაბამისად, ჯერ კიდევ ხდება მათი ბუნებრივ გარემოში გამრავლება. აღსანიშნავია, რომ ამჟამად შავი ზღვის აუზის მხოლოდ ორ მდინარეში - რიონსა და დუნაიში - ხდება ზუთხისებრთა ბუნებრივად გამრავლება. შავი ზღვის აუზის აღმოსავლეთ სანაპიროზე კი მდ. რიონი ერთადერთი და შეუცვლელი ადგილია ზუთხისებრთა ბუნებრივ პირობებში გასამრავლებლად. მდ. რიონში ზუთხისებრთა სატოფო ადგილები ვრცელდებოდა თითქმის 57 კმ-ის მანძილზე. დღეისათვის ზუთხისებრთა ისტორიული ტოფობის ადგილებიდან მდ. რიონში შემორჩენილია მხოლოდ 9 კმ-იანი (16%) მონაკვეთი, რომელიც მდებარეობს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში. მდინარის ზემო წელში არსებული ტოფობის ადგილები განადგურებულია კაშხლების მშენებლობის გამო. ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მდ. რიონში შემორჩენილი 9 კმ-იანი სატოფო მონაკვეთი

[1]სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის განსაზღვრული კოლხური ზუთხის ნომენკლატურული პოზიცია. 1940 წელს ვ. მარტიმ პირველად გამოყო კოლხური ზუთხი როგორც ქვესახეობა. 1986 წელს ე. არტიუხინმა და ზ. ზარქუამ კოლხური ზუთხი გამოყვეს როგორც სპარსული ზუთხის ქვესახეობა - *Acipenser persicus colchicus*. ამ დროისთვის საქართველოში გავრცელებული კოლხური ზუთხი არ არის აღიარებული როგორც ცალკე ქვესახეობა ან სახეობა და ის ოფიციალურ დოკუმენტებში (IUCN-ის წითელი ნუსხა, საქართველოს წითელი ნუსხა, შესაბამისი კონვენციები) განიხილება როგორც სპარსული ზუთხი *(Acipenser persicus)*.

არის მდინარის ერთადერთი ფუნქციური ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ზუთხისებრთა ბუნებრივ პირობებში გამრავლებას.

მდ. რიონი მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ჰაბიტატია და მას გააჩნია განსაკუთრებული ეროვნული, რეგიონული და გლობალური მნიშვნელობა ზუთხისებრთა გადარჩენისა და მათი სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების აღდგენისთვის. ზუთხისებრთა კონსერვაციისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდ. რიონის უწყვეტი მონაკვეთი მდინარის შესართავიდან ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო არხამდე (≈ 99 კმ) და ასევე, მდინარის შესართავის მიმდებარე საზღვაო აკვატორია. საწყის ეტაპზე პრიორიტეტულია მდ. რიონის შესართავისპირა მონაკვეთის, შესართავისა და შესართავის მიმდებარე საზღვაო აკვატორიის დაცვა. აღნიშნული უბნის დაცვა გადამწყვეტია ქვირითობის პერიოდში ზუთხისებრთა უსაფრთხო ანადრომული მიგრაციისთვის და ასევე, მათი ზრდისთვის და გამოზამთრებისთვის.

უკვე მრავალი წელია, საქართველოში მოქმედებს გარკვეული სამართლებრივი ნორმები ზუთხისებრთა დაცვისთვის, თუმცა ზუთხისებრთა რაოდენობა კვლავ მკვეთრად მცირდება, რაც ნათლად მიგვითითებს დამატებითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე. ამგვარ დამატებით ღონისძიებად განხილული და მიჩნეულია ზუთხისებრთა არეალისა და მათთვის საკვანძო ჰაბიტატების დაცვა და შენარჩუნება შესაბამისი კატეგორიის ახალი დაცული ტერიტორიების დაარსების გზით. სპეციალური დაცვითი ღონისძიებების გატარების გარეშე მოსალოდნელია ზუთხისებრთა სამუდამო გაქრობა საქართველოს მდინარეებსა და სანაპირო წყლებში.

კოლხეთის ეროვნული პარკის გაფართოებისთვის განსაზღვრული ტერიტორია აკმაყოფილებს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ასევე, კოლხეთის ეროვნული პარკის გაფართოება სრულ შესაბამისობაშია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის (საქართველო კონვენციის მონაწილე მხარეა 1994 წლიდან) მოთხოვნებთან და ამავე კონვენციის ფარგლებში შემუშავებული გლობალური სტრატეგიის მე-11 და მე-12 სტრატეგიულ მიზნებთან. მე-11 სტრატეგიული მიზანი ეხება დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებას, რათა 2020 წლისთვის უზრუნველვყოთ ხმელეთისა და შიდა წყლების სულ მცირე 17%-ისა და სანაპიროსა და საზღვაო ფართობის სულ მცირე 10%-ის დაცვა დაცული ტერიტორიების გამართული და ეფექტიანი სისტემის მეშვეობით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაცული ტერიტორიების სისტემაში იმ არეალების ჩართვას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების თვალსაზრისით. მე-12 სტრატეგიული მიზანი ითვალისწინებს საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გადაშენებისგან დაცვას, მათი კონსერვაციული სტატუსის გაუმჯობესებასა და შენარჩუნებას. ზუთხისებრთა კონსერვაციის მიზნით კოლხეთის ეროვნული პარკის გაფართოება ასევე შესაბამისობაშია „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ კონვენციისა (ბერნის კონვენცია; საქართველო კონვენციის მონაწილე მხარეა 2008 წლიდან) და „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ” კონვენციის (რამსარის კონვენცია; საქართველო კონვენციის მონაწილე მხარეა 1996 წლიდან) ფარგლებში საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადებული იქნა კანონის პროექტი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

კანონპროექტის თანახმად კოლხეთის ეროვნული პარკის საერთო ფართობი იზრდება - 778,6 ჰექტარით და შეადგენს - 45,087.1 ჰექტარს. საერთო მომატებული ფართობიდან (778,6 ჰა) სახმელეთო ფართობი იზრდება - 222,6 ჰექტარით და ხდება - 29,255.1 ჰექტარი, ხოლო ზღვის აკვატორია იზრდება 556 ჰექტარით და ხდება - 15,832 ჰექტარი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია კოლხეთის ეროვნული პარკის გაფართოება. პარკის გაფართოებული ნაწილი მოიცავს მდ. რიონის შესართავისპირა მონაკვეთს, მდინარის შესართავსა და მის მიმდებარე საზღვაო აკვატორიას. კოლხეთის ეროვნული პარკის გაფართოება ხელს შეუწყობს საქართველოს წითელ ნუსხასა და ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) გლობალურ წითელ ნუსხაში არსებული გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი ზუთხისებრთა სახეობების შენარჩუნებას, დაცვას და მათი სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების აღდგენას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით, ,,კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ხორციელდება შემდეგი ცვლილება, კერძოდ კანონის მე-8 მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით და იზრდება კოლხეთის ეროვნული პარკის საერთო ფართობი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ოდენობამ უნდა შეადგინოს 34,200 ლარი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას 34,200 ლარი, რომელიც საჭირო იქნება კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში დამატებით 1 უბნის უფროსი რეინჯერის და 3 რეინჯერის ასაყვანად (ცხრილი №1). დამატებითი თანხა 128,000 ლარის ოდენობით, რომელიც საჭიროა დაცვის სამსახურის აღჭურვილობის შესაძენად (მითითებული ცხ. №1-ში) გამოყოფილი იქნება ა(ა)იპ „კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის“ მიერ.

კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ხარჯი			
№	დასახელება	რაოდენობა	წლის ფონდი (ლარი)
1	შრომის ანაზღაურება: • უბნის უფროსი რეინჯერი • რეინჯერი	 1 3	 9,000 25,200
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფი მთლიანი თანხა			**34,200**
1	უნიფორმები	4	3,000
2	ავტომანქანა	1	60,000
3	კატერი ბენზოძრავით	1	60,000
4	სხვა აღჭურვილობა		5,000
ა(ა)იპ „კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის“ მიერ გამოსაყოფი მთლიანი თანხა			**128,000**

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამის ოფისი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა.